

მიკრო და მცირე მეწარმეობის საგადასახადო რეჟიმების ოპტიმიზაცია:
დარგობრივი შეზღუდვების ანალიზი და განვითარების პერსპექტივები
საქართველოში

მარიამ მამასახლისი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ფინანსების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფინანსები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მამრიკიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ მამასახლისი

19.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომი განიხილავს საქართველოში მიკრო და მცირე მეწარმეობის საგადასახადო რეჟიმებს და მათ თანმდევ დარგობრივ შეზღუდვებს. კვლევა მიზნად ისახავს, შეაფასოს აღნიშნული შეზღუდვების სამართლებრივი და ფისკალური არგუმენტები, ასევე მათი პრაქტიკული გავლენა მცირე ბიზნესის განვითარებაზე. გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია: განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან და ჩატარდა სტრუქტურირებული გამოკითხვა ფინანსური სპეციალისტების შორის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დარგობრივი შეზღუდვები, მიუხედავად ფისკალურად გამართლებულ მიზნებთან შესაბამისობისა, ხშირ შემთხვევაში ზღუდავს მცირე მეწარმეთა ეკონომიკურ თავისუფლებასა და ზრდის შესაძლებლობებს. შესაბამისად, რეკომენდებულია ბრუნვის ზღვრის ადაპტირება მიმდინარე ეკონომიკურ რეალობაზე, თვითდასაქმებულთა სტატუსის მკაფიო დიფერენცირება და გარკვეულ დარგებზე შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმების პირობების გადახედვა. ნაშრომი ქმნის ანალიტიკურ საფუძველს შესაბამისი პოლიტიკის რეფორმირებისა და მომდევნო კვლევების დასაგეგმად.

Abstract

This thesis examines the tax regimes applicable to micro and small enterprises in Georgia, with a particular focus on the sector-specific restrictions embedded in these regimes. The study aims to assess the legal and fiscal justifications for these restrictions, as well as their practical implications for small business development. A mixed-methods approach was adopted, including in-depth interviews with industry experts and a structured survey of financial professionals. The findings indicate that, while sectoral restrictions may align with fiscal policy goals, they often limit the economic freedom and growth opportunities of small entrepreneurs. Accordingly, the study recommends adjusting turnover thresholds to reflect current economic conditions, clearly distinguishing self-employment from employment status, and revisiting the terms of preferential tax regimes for certain sectors. This research offers a robust analytical basis for policy reform and future academic investigation.